

დიფენოკონაზოლის სტერეოიზომერების დაყოფა მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფიის გამოყენებით და მათი განსაზღვრა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებში საფრთხის შესაფასებლად სითხური ქრომატოგრაფია-მას სპექტრომეტრით


ნათია ჭანტურია, ანა რაქვიაშვილი, ნინო თაყაიშვილი, ბექან ჭანკვეტაძე

natia.tchanturia641@ens.tsu.edu.ge

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქიმიის დეპარტამენტი. ჭავჭავაძის გამზ. 3

დიფენოკონაზოლი არის ფუნგიციდი, რომელიც გამოიყენება სოფლის მეურნეობაში სხვადასხვა სოკოვან დაავადებებთან საბრძოლველად, ხილში, ბოსტნეულში, მარცვლეულსა და სხვა მინდვრის კულტურებში. დიფენოკონაზოლი მოქმედებს დემეთილირების ინჰიბირებით ერგოსტეროლის სინთეზის დროს. [1]



სურ.1 დიფენოკონაზოლი

დიფენოკონაზოლს აქვს 2 ქირალური ცენტრი და შესაბამისად 4 სტერეოიზომერი. ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა, დიფენოკონაზოლის სტერეოიზომერების დაყოფა მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფიის და პოლისაქარიდული ბუნების ქირალური სვეტების გამოყენებით. აღნიშნულ კვლევაში გამოვიყენეთ დიფენოკონაზოლის სტერეოიზომერების დასაყოფად მას-სპექტრომეტრთან თავსებადი მოძრავი ფაზები.

მიღებული შედეგების საფუძველზე გავაკეთეთ ზოგიერთი დასკვნა მოძრავი ფაზის გავლენის შესახებ მათი სტერეოიზომერების შეკავებაზე და დაყოფაზე პოლისაქარიდული ბუნების ქირალურ სელექტორებზე.

შემუშავებული დაყოფის მეთოდი გამოვიყენეთ დიფენოკონაზოლისთვის და მისი სტერეოიზომერებისთვის საკალიბრო გრაფიკის ასაგებად კიტრსა და ბადრიჯანში. მრუდებმა შესაძლებელი გახადა დიფენოკონაზოლის კონცენტრაციის ზუსტი რაოდენობრივი განსაზღვრა, რაც გვადლევს საიმედო შედეგებს ამ კულტურებში პესტიციდების შესაფასებლად.

ლიტურატურა:

1. DIFENOCONAZOLE (224) - Food and Agriculture Organization

https://www.fao.org/fileadmin/templates/agphome/documents/Pests_Pesticides/JMPR/Evaluation07/Difenoconazole.pdf